NEW BOOKS ახალი წიგნები

ივანე ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2024

„ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ ივანე ჯავახიშვილის მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობის გამორჩეული ნაშრომია. ეს გახლავთ საისტორიო მეცნიერების ამ მნიშვნელოვანი დარგის პირველი ფუნდამენტური კვლევა, რომელიც ავტორმა ჩვეული პროფესიონალიზმით შეასრულა.

ნაშრომში დეტალურადაა მიმოხილული ქართული პალეოგრაფიის სხვადასხვა საკითხი, საწერი მასალებიდან და იარაღის რაობებიდან მოყოლებული, ვიდრე ქართული დამწერლობის წარმოქმნისა და განვითარების ჩათვლით.

წიგნი პირველად 1926 წელს დაიბეჭდა. ამჯერად მკითხველს მის მეოთხე გამოცემა მიეწოდება, რომელსაც თან ერთვის როგორც პირველი გამოცემისეული ტაბულები, ისე ნაშრომში განხილული სხვადასხვა პალეოგრაფიული ნიმუშის თანამედროვე ფოტოები.

ექვთიმე თაყაიშვილი, 1902 წლის ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, გამოცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2023

ექვთიმე თაყაიშვილმა ისტორიულ სამხრეთ საქართველოში 1902 წელს პირველად მას შემდეგ იმოგზაურა, რაც რეგიონის უმეტესი ნაწილი, რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად, დანარჩენი საქართველოს მსგავსად, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა.წიგნში წარმოდგენილია 1902 წლის ექსპედიციის მასალების ქართული თარგმანი, რომელსაც ერთვის ისტორიული, გეოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი ხასიათის კომენტარები. გამოცემა შევსებულია, აგრეთვე, მოგზაურობის ამსახველი ფოტოებით.

როინ მეტრველი, ვახტანგ გურული, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია შუა საუკუნეებში (IV - XVIII სს), გამომცემლობა „ არტანუჯი“, თბ., 2024

საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების, საგარეო ორიენტაციის საკითხებისადმი მიძღვნილ წინამდებარე წიგნში გათვალისწინებული და გაანალიზებულია საარქივო მასალები, ქართული და უცხოენოვანი წერილობითი თუ სხვა სახის წყაროები, ისტორიოგრაფიაში არსებული გამოკვლევები და წარმოდგენილია შუა საუკუნეების საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ვითარება.

წიგნი გამიზნულია ძირითადად უმაღლესი სკოლის სტუდენტებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

ზაზა სხირტლაძე, სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტრის ექვსკარედის ხატი. ლიტურგიკული კალენდარი ბიზანტიურ და ქართულ ხელოვნებაში. „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 2023.

ორტომეული (საერთო მოცულობით1.175გვ.) წარმოადგენს მრავალდარგოვან გამოკვლევას, სადაც განხილულია სინის მთის წმ. ეკატერინეს

მონასტრის ექვსკარედი ხატის ატრიბუცია, ლიტურგიკული კალენდარი და მასთან დაკავშირებული სახვითი ტრადიცია ბიზანტიასა და საქართველოში, სინური ექვსკარედი ხატის საერთო იკონოგრაფიული პროგრამა და მისი მიმართება ლიტერგიკულ კალენდართან, აღნიშნული ხატის სტილი და ქრისტიანული აღმოსავლეთის თანადროული ხელოვნების მხატვრული მიმართებები და ა.შ. გამოკვლევის II ტომი ეთმობა შუა საუკუნეების ქართულ მწერლობასა და სახვით ხელოვნებაში ლიტურგიკულ კალენდართან დაკავშირებული ტრადიციის ამსახველი მასალების პუბლიკაციას.

ელერ კაიზერი, ქართველი და საბჭოელი, გამომცემლობა Zairi Press. თბ., 2024.

წიგნში ასახულია საბჭოთა საქართველოს ისტორია მეორე მსოფლიო ომიდან დამოუკიდებლობის მოპოვებამდე. საარქივო წყაროებზე დაყრდნობით, აღწერილია ამ პერიოდის საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები (საქართველოს ისტორიის პირველი სახელმძღვანელოს დაწერის პროცესი, გასახლებები, 1956 წლის მარტსა და 1978 წლის აპრილში). ამასთან ერთად, წიგნს შემოაქვს „სატიტულო ერის“ ცნება და გვიჩვენებს, თუ რა გავლენა მოახდინა გვიანი საბჭოთა კავშირის ნაციონალურმა და დემოგრაფიულმა პოლიტიკამ ქართველი და აფხაზი ხალხების თვითიდენტიფიკაციაზე. წიგნი თარგმნა ნინო ბარაიმიშვილმა.

პლატონ იოსელიანი, შიო-მღვიმის მონასტრის აღწერა,გამოცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2024

პლატონ იოსელიანის ეს წიგნი პირველად დაიბეჭდა 1845 წ. რუსულ ენაზე და დღეისათვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ამჟამად მეორედ გამოიცა. წიგნი მოგვითხრობს შიომღვომის მონასტრის დაარსების, მისი გარემომცველი ბუნებრივი პირობების, სამონასტრო კომპლექსის ცალკეულ ნაგებობათა არქიტექტურული სტილის, ფრესკების, წარწერების, მონასტერში დაცული სიძველეების შესახებ.

გიორგი სორდია, საქართველო ევროპულ რუკებზე, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2024

მინიატიურულ კარტოგრაფიულ ნიმუშებს მსოფლიო გეოგრაფიის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. უაღრესად ფასეულია მათზე ასახული ცნობები და ინფორმაცია საქართველოსთან მიმართებითაც. შეიძლება ითქვას, რომ საუკეთესო კარტოგრაფიული ნიმუშები, საქართველოს გამოსახულებით, სწორედ ამგვარი რუკების სახით არის შემორჩენილი.

წინამდებარე წიგნში თავმოყრილია და დეტალურადაა განხილული 1548-1801 წლებში შექმნილი ასზე მეტი ევროპული მინიატიურული რუკა. ეს უნიკალური და იშვიათი მასალა მკაფიო დემონსტრირებაა იმისა, თუ რაოდენ დიდი და მზარდი იყო გასული საუკუნეების განმავლობაში ევროპული საზოგადოების მხრიდან საქართველოსადმი ინტერესი.

გიორგი ღვინჯილია, 1905 წლის რევოლუცია ბათუმში და ქართველი მუსლიმები, გამომცემლობა „ არტანუჯი“, თბ., 2024

წიგნში აღწერილია 1905 წელს ბათუმში მომხდარი შეიარაღებული

აჯანყება. ის აჭარაში მცხოვრებ მუსლიმთა და ქრისტიანთა ერთობლივ რევოლუციურ ბრძოლაზე მოგვითხრობს.

იმ პერიოდში ბათუმი კავკასიის ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოო ცენტრი იყო, მისი მოსახლეობა კი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა და კონფესიებისაგან შედგებოდა. საყოველთაო გაფიცვისა და შეიარაღებული აჯანყების ორგანიზება ეთნიკური და რელიგიური შუღლის უკანა პლანზე გადაწევასა და საერთო ინტერესების ირგვლივ გაერთიანებას მოითხოვდა. ამ ერთობის შექმნაში განსაკუთრებული როლი ქართველ რევოლუციონერ მუსლიმთა ლიდერებმა შეასრულეს.

ოკუპაციიდან დამოუკიდებლობამდე (სტატიების კრებული), გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2024

წიგნში განხილულია მრავალი საკითხი, რომელიც შეეხება საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას, საბჭოთა საქართველოს ისტორიას, მის კულტურას, საზოგადოებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რეგიონულ კონფლიქტებს საქართველოში და ა. შ. სამეცნიერო ნაშრომებთან ერთად, კრებულში გამოქვეყნებულია სხვადასხვა სახის ისტორიული დოკუმენტი, რომელთა უმრავლესობაც ქართულ სამეცნიერო სივრცეში პირველად იხილავს დღის სინათლეს.

იგორ კეკელია, სამეგრელოს და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2023

ნაშრომში წარმოდგენილია ვახუშტი ბაგრატიონის ცნობები ოდიშ-აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ, შეჯერებულია ისინი სხვა წყაროების მონაცემებთან და საკითხთან დაკავშირებული არაერთი საყურადღებო მოსაზრება და დაკვირვებაა გამოთქმული. ასევე დაზუსტებულია ვახუშტის მიერ ოდიშ-აფხაზეთის ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტის ლოკალიზაციისას დაშვებული მცირე უზუსტობანი.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ისტორიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

გელა (გიორგი) საითიძე, გოჩა საითიძე, ამბროსი ხელაია , გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2023

„როდესაც სახლს ცეცხლი ეკიდება, ნუთუ გულგრილად უნდა ვუცქიროთ იმ იმედით, რომ ის თავისთავად ჩაქრება?“ – ეს სიტყვები პატრიარქ ამბროსი ხელაიას ეკუთვნის.

საბჭოეთის ცეცხლისგან საქართველოს დახსნას ამბროსი ხელაია უფლებად კი არა, მოვალეობად თვლიდა, რის გამოც, იგი, როგორც დამნაშავე, ისე გაასამართლეს და მრავალწლიანი პატიმრობითაც დასაჯეს. მანამდე კი, გარუსების პოლიტიკასთან მებრძოლი კათოლიკოსისთვის არც სამშობლოდან გადახვეწის ტკივილი დაუკლიათ. და თან სად? – რუსეთში.

როგორც თავად თქვა, სული ღმერთს დაუტოვა, გული – სამშობლო საქართველოს, ხოლო სხეული ჯალათებს მისცა საჯიჯგნად იმ ქვეყნის სიყვარულისთვის, რომლის გამოც ცხოვრებაში „ტკბილი და მყუდრო დღეები“ არასდროს უნახავს...

წიგნში თავმოყრილი 100 ამბით მკითხველი ამ დღეებისთვის თვალის მიდევნებას შეძლებს.